



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 107
11/01/2018

ქალაქი ბათუმი

107-05-4-201801111619



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 27 დეკემბრის №2713 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსის კახაბერ ფუტკარაძის 2018 წლის 11 იანვრის №82-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 27 დეკემბრის №2713 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ პირებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა